

# მცოდავი ოპაკაციით დაზარალებული სოფლების გვლევა

Project Funded by the  
European Union



2016

---

# **მცოდავი ოპუპაციით დაზარალებული სოფლების პლევა**

**პოლიტიკის დოკუმენტი**

**ავტორი: არინა თავაქარაშვილი**

---

## სარჩევი

|                          |    |
|--------------------------|----|
| რეზიუმე                  | 3  |
| შესავალი                 | 4  |
| პრობლემის აღწერა         | 5  |
| პრობლემის გადაჭრის გზები | 8  |
| რეკომენდაციები           | 9  |
| დასკვნა                  | 10 |
| ბიბლიოგრაფია             | 10 |

## რეზიუმე

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი წარმოადგენს 2008 წლის ომისა და მისი გავლენის საზოგადოებრივ აღქმას მცოცავი ოკუპაციით დაზარალებული სოფლებისათვის. იგი დაყოფილია თემატურად, მისი გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების აღქმის დამახასიათებელი სპეციფიკით. დოკუმენტში მოცემულია საზოგადოების ნაწილის შეხედულებების, დამოკიდებულებების ერთიანი აღქმა და პრობლემის ავტორისეული ხედვა, წარმოდგენილია პრობლემის გადაჭრის გზები და შემოთავაზებულია რეკომენდაციები.

პოლიტიკის დოკუმენტი შექმნილია იმისთვის, რომ დაეხმაროს დაინტერესებულ პირებს კონფლიქტთან და უსაფრთხოებისთან დაკავშირებული საკითხების შესწავლაში და ითამაშოს პოზიტიური როლი ზემოთ აღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში. დოკუმენტის მიზანია, დაბალანსებული და მიუკერძოებელი ინფორმაცია მიაწოდოს კონფლიქტისა და მცოცავი ოკუპაციით დაზარალებული სოფლების შესახებ, ხელი შეუწყოს საზოგადოების დაინტერესებულ პირების თუ სახელმწიფო მოხელეებს, რათა ფართო ჭრილში შეხედონ კონფლიქტს, არსებულ რეალობას კონფლიქტისპირა სოფლებში და იცოდნენ იქ მაცხოვრებელი ადამიანების განწყობები, ასევე, დოკუმენტის მიზანია, წარმოაჩინოს ხედვები კონფლიქტის შესაძლო მოგვარებასთან დაკავშირებით.

გვსურს საზოგადოებას გავაცნოთ ადამიანებთან ურთიერთობისას მიღებული ინფორმაციების და კვლევის საფუძველზე გაკეთებული დასკვნები. ამ თემების მოსახლეობასთან სტაბილური, სისტემატური ურთიერთობა და შეხვედრებია საჭირო საიმისოდ, რომ კონფლიქტის მოგვარებისა და ტერიტორიების გაერთიანების თაობაზე შემუშავებული გრძელვადიანი ხედვა ეფუძნებოდეს მიზანმიმართულ და გრძელვადიან პროგრამას, რომელიც ქვეყნას გააერთიანებს. რა თქმა უნდა, ეს დიდ დროს მოითხოვს, მაგრამ თუ სწორად და ობიექტურად აღვიქვამო პროცესს, შედეგს მივაღწევთ – ჩამოყალიბდება დეტალური და სპეციფიკური პერსპექტივები კონფლიქტისა და უსაფრთხოების საკითხებზე.

თუ ამ პოლიტიკურ დოკუმენტში შემდგომ მოიძებნება რაციონალური მარცვალი, რომელიც გამოყენებული იქნება, როგორც საფუძველი დიალოგისა და პრობლემის გადაჭრის შესაძლო გზების მოძიებისათვის, მაშინ დოკუმენტის შექმნა გამართლებულად უნდა ჩაითვალოს.

დოკუმენტი მოყვანილი მოსაზრებები ეფუძნება რეალურ ფაქტებს და შესაბამისი რეგიონის მცხოვრებთა გამოკითხვას. დროის სიმცირის გამო ვერ მოხერხდა ყველა კონფლიქტისპირა და მცოცავი ოკუპაციით დაზარალებული სოფლის მონახულება, რის გამოც დოკუმენტი მოცემულია მხოლოდ ზოგადი რეკომენდაციები და არა რეპომენდაციათა პაკეტი კონკრეტული სოფლებისათვის.

ბოლოს, შეჯამების სახით შეიძლება აღინიშნოს: პოლიტიკური დოკუმენტი არის მცდელობა, ხელი შეეწყოს კონფლიქტისპირა სოფლების განვითარებას.

## შესავალი

„თუ კარგი რამ ფუჭდება, ის  
განსაკუთრებით ცუდი ხდება.“  
არისტოტელე

არისტოტელეს ეს გამონათქვამი ზუსტად ასახავს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე ქართულ-ოსურ ურთიერთობებს, რომელმაც მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან კონფლიქტის სახე მიიღო ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე და 2008 წელს ქართულ-რუსული ომით გაგრძელდა, რასაც მოჰყვა აღნიშნული ტერიტორიის დაკარგვა და რუსების მიერ ამ ტერიტორიის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარება. ახლა გრძელდება ამ ტერიტორიების მიერთება.

უკვე ოც წელზე მეტია, რუსეთი სხვადასხვა ფორმით ცდილობს საქართველოს დაპყრობას და მსოფლიო პოლიტიკური სივრციდან მის ამოშლას. ეს მიზანი მე-19 საუკუნის დასაწყისსა და მე-20 საუკუნის 20-იან წლებში მიღწეული იქნა კიდეც. მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, რუსეთის მხრიდან კვლავაც ადგილი აქვს საქართველოს აღდგენილი სახელმწიფოებრიობისა და ტერიტორიული მთლიანობის მოშლის მცდელობას.

სახეზეა ეთნიკური კონფლიქტები ცხინვალსა და აფხაზეთში, ომი აფხაზეთში, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი, ქვეყნის ე.წ. „ხელოვნური საზღვრები“ – მაგთულხლართები და მცოცავი ოკუპაცია, რომელიც ჩვენი ქვეყნისა და მოსახლეობისთვის ომზე არანაკლებ საფრთხეს ქმნის.

2008 წლის ომის შემდგომ გაჩნდა ე.წ. „ხელოვნური საზღვარი“ და სოფლები სახელწოდებით – ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე – ე.წ. „სასაზღვრო სოფლები“, რომელთა მდგომარეობის და ყოფის შესწავლა ამჟამინდელი მდგომარეობის მეაფიო და რეალურ სურათს იძლევა.

ომისშემდგომი პერიოდი უკველა გაოქაში ნებისმიერი ქვეყნისა თუ სახელმწიფოსთვის უმძიმესია. მით უმეტეს იმ დროს, როცა ქვეყნის ტერიტორიის 20% ოკუპირებულია, რომელიც მცოცავს ოკუპაციამ კიდევ 6%-ით გაზარდა. 26 ათასზე მეტი ადამიანი ომისშემდგომ დევნილად იქცა და, როგორც აღინიშნა, გაჩენილია ხელოვნური საზღვარი და სოფლები სახელწოდებით „ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე სასაზღვრო სოფლები“, რომელთაც სამართლებრივად რამდენჯერმე სხვადასხვა სახელი მიენიჭა, მაგრამ ფაქტია, რომ შინაარსობრივად ისინი ე.წ. „სასაზღვრო სოფლებია“, რომელთა მდგომარეობის შესწავლა მთლიანად ასახავს იმ სურათს, რაც ომის შემდგომ მივიღეთ.

აგვისტოს მოვლენების შემდეგ ამ სოფლების მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ დახმარებას წინასწარ განსაზღვრული პაკეტით საერთაშორისო ორგანიზაციები უზრუნველყოფდნენ, პარალელურად, მათ ებმარებოდა ხელისუფლებაც. ეს პროგრამები თანდათან შემცირდა, დიდი ნაწილი კარგა ხანია დასრულდა. გარკვეული სოციალური გარემო გაუმჯობესდა. მაგრამ მოსახლეობა კვლავაც საჭიროებს ხელშეწყობასა და დახმარებას. სამწუხაროა, რომ დღემდე არ არსებობს გრძელვადიანი ხანგრძლივმოქმედი პროექტები ამ ტერიტორიის მოსახლეობისათვის, პროექტები, რომლებიც შეაჩერებს მოსახლეობის გადინების პროცესს და ხელს შეუწყობს ადგილზე მდგრად დამკვიდრებას (ბოლო მონაცემებით, საგანგაშო ფაქტია ის, რომ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ დვანში მხოლოდ ხუთი პირველკლასელია. ომის შემდგომ კი, როდესაც ადამიანები სრულად არ იყენება დაბრუნებულები ამ სოფლებში, იმ დროისათვის ჯერ სასკოლო ასაკის 10 ბავშვი

---

დადიოდა საბავშვო ბაღში და 2009 წლიდან მათი რიცხვი უკვე 37-ს აღწევდა 3-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვებთან ერთად).

რაც დრო გადის, უფრო მძიმდება ყოფა იმ ადამიანებისა, რომლებიც ქართულ-ოსურმა კონფლიქტმა დააზარალა. ადამიანები, რომლებიც ომის შემდგომ საკუთარ სამშობლოში დევნილებად იქცნენ. ფაქტი სახეზეა, პროცესი ხანგრძლივია, დღესაც გრძელდება ტერიტორიების მცოცავი ოკუპაციით მიწაცება და თანდათანობით ვიწროვდება საქართველოს საზღვრები. მართალია, დღეს ომის ქარცეცხლი არ ტრიალებს, არ ვარდება კასეტური ბომბი, ისე აღარ ისვრიან დიდი და პატარა ლიანების ფრონებს ხეობაში, მაგრამ ეს ტერიტორიები უკვე მიერთებული აქვს რუსეთს და საქართველოს მოქალაქეები იქ აღარ ცხოვრობენ. ფაქტობრივად, ტერიტორიაზე მთლიანად დიდ ნაწილში წაშლილია სიცოცხლის ნიშანწყალი. ადამიანები ვეღარ ბრუნდებიან თვითანთ სახლებშირომლებიც დატოვეს კონფლიქტისა და ომის დროს, ვერ გადიან წინაპართა საფლავებზე. რეალური ვითარება ასეთია: დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ჩვენ თანდათანობით ვკარგავთ ტერიტორიებს და მიმდინარეობს ქვეული ანექსია.

მიუხედავად იმისა, რომ ხშირად გაისმის პროტესტი სხვადასხვა საერთაშორისო ტრიბუნიდან, მდგომარეობა უცვლელია და, პირიქით, პროცესი გაუარესებისკენაც მიდის, რაც გამოიხატება იმით, რომ რუსეთი სხვადასხვა ფორმით აგრძელებს ჩვენი ქვეუნისთვის ტერიტორიის ჩამოჭრას და ე.წ. „კონფლიქტისპირა“ სოფლებში მცხოვრები ადამიანებისათვის საფრთხის შემცველ ქმედებებს.

### პრობლემის აღწერა

პოლიტიკის დოკუმენტის მიზანია კვლევაზე დაფუძნებული ე.წ. „სასაზღვრო სოფლების“ სიტუაციური ანალიზი, პრობლემების გამომწვევი მიზეზების გამოვლენა და რეკომენდაციების შემუშავება მათ დასაძლევად.

გამოკითხული ადამიანების უდიდესი ნაწილი თვლის, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის აცილება არ შეიძლებოდა რადგან ის გამოწვეული იუო რუსეთის აგრესიული პოლიტიკით და საქართველოს პროდასავლური ორიენტაციით.


საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მზრუნველობის პაკეტით დახმარება უკვე დასრულებულია. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ (გაერო-ს ქალთა ფონდი, ფონდი „ტასო“, ცენტრი „აფხაზეთი“) განხორციელებული ერთჯერადი პროექტები დადებითი იმპულსია, მაგრამ ეკონომიკური განვითარების სასურველ შედეგს მაინც ვერ იძლევა (პროექტის დასრულებასთან ერთად პროცესიც სრულდება). სამწუხაროდ, სახელმწიფო არ ახორციელებს გრძელვადიან პროექტებს.

მოსახლეობა კი კვლავ საჭიროებს ხელშეწყობასა და დახმარებას – განსაკუთრებით ახალგაზრდობა, იქმნება საშიშროება, არ მოხდეს ამ სოფლების დაცლა ან მხოლოდ მოხუცების ამარა დარჩენა და რუსეთმა მცოცავი ოკუპაცია კიდევ უფრო სწრაფად არ განახორციელოს. მოცემული მდგომარეობიდან გამომდინარე, ჩატარდა კვლევა, რომლის მიზანია ე.წ. „სასაზღვრო სოფლების“ სიტუაციური ანალიზი, არსებული პრობლემების გამომწვევი მიზეზების გამოვლენა-დადგენა და არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებელი გზების ძიება.

კვლევა განხორციელდა ე.წ. „საზღვრისპირა სოფლებში“. კვლევის ტერიტორიული საზღვრები მოიცავს გორისა და ქარელის მუნიციპალიტეტებში შემავალ რამდენიმე

სოფელს, პერძოდ: დიცს, გუგუტიაანთკარს, დვანს, კირბალს. კვლევის ობიექტები არიან ჩამოთვლილ სოფლებში მცხოვრები ადამიანები (იხ. სტატისტიკური მონაცემები).

### საქართველოს ტერიტორია 2008-2016 წლების მონაცემებით



კვლევისათვის გამოყენებულია შემთხვევითი შერჩევის მეთოდი, კერძოდ ინდივიდუალური და ჯგუფური შეხვედრები. გამოიკითხა 147 ადამიანი. დამატებით, ჯგუფურ საუბრებში, მეორდებოდა ინდივიდუალური გამოკითხვისას მოწოდებული ინფორმაციები, ამიტომ აღარ იყო საჭირო უფრო მეტი ადამიანის გამოკითხვა.

გამოკითხვისას ყველაზე აქტიურები იყვნენ ქალები, თუმცა ისინი ვერანაირ ზეგავლენას ვერ ახდენენ ვერც ადგილობრივ ხელისუფლებაზე და ვერც მიმდინარე პროცესებზე.

### პრობლემები, რომლებიც გამოიჯვარა კვლევის შედეგად:

1. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ დაიწყო მოსახლეობის წყლით უზრუნველყოფის პროცესი შენარჩუნებული მიწების დასამუშავებლად, გლეხებს ჯერ კიდევ არ აქვთ სარწყავი წყალი; განსაკუთრებით იმ დროს, როცა ეს ყველაზე მეტად სჭირდებათ;
2. ფაქტობრივად, არ არსებობს გაჭირვებით მიღებული მოსავლის სარეალიზაციო ბაზარი; ადამიანები თვლიან, რომ ერგნეთის ბაზრობა იყო კორუფციის წყარო, მაგრამ ის დადებით გავლენას ახდენდა ქართულ-ოსურ ურთიერთობებზე. ფაქტობრივად, ის იყო ორივე მხარეს მყოფი ადამიანების შეხვედრის ადგილი. ამჟამად კი მოწეული მოსავლის რეალიზებისათვის არ არის ადგილი შერჩეული და არ განსაზღვრულა ვაჭრობით და პროდუქციის ურთიერთგაცვლით ნდობის პროცესის აღდგენის საკითხი;
3. გამყოფ ხაზს მიღმა აღმოჩნდა სახნავ-სათესი მიწები, საძოვრები და ხეხილი. სანაცვლოდ მოსახლეობას არანიარი კომპენსაცია არ მიუღია;
4. ომის შემდგომ საერთაშორისო და ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ერთჯერადი გრანტების სახით გაუწიეს მოსახლეობას დახმარება. შემდეგ ეს

- 
- პროცესი შეჩერდა. დიდ ნაწილს არ აღმოაჩნდა ფინანსური სახსრები, რომ გაეგრძელებინა საქმიანობა. ამას დაემატა ისიც, რომ გაჩერებულია წარსულში საკმაოდ ეფექტურად მომუშავე მინისაწარმოები;
5. მიწები საჯარო რეესტრში ჯერ კიდევ არ არის რეგისტრირებული, რაც ოკუპანტებს მის მიტაცებას უადვილებს. მომავალშიც და ახლაც იქმნება სამართლებრივი დავის პრობლემა;
  6. ოკუპირებულ ტერიტორიაზე ვრცელდება რუსული მაუწყებლობა, ქართული არხების მიღება ყველა ოჯახს არ შეუძლია, შესაბამისად, მოსახლეობა იღებს რუსული პოლიტიკისათვის სასურველ, ტენდენციურ ინფორმაციას.

მოსახლეობის ნიჭილიზმს ისიც ამბაფრებს, რომ პოლიტიკური პარტიები ადგილობრივ არჩევნებში კანდიდატებს უშუალო ურთიერთობის გარეშე ასახელებენ და, შესაბამისად, არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, კანდიდატები მიიჩნევენ, რომ პასუხისმგებლები მხოლოდ მათი პარტიის მომსრულების წინაშე არიან, ხოლო ამომრჩეველი თითქმის იგნორირებულია (თუ არ ჩავთვლით მასობრივ შეხვედრებში მონაწილეობას).

ჩატარებულმა კვლევამ თითოეული სოფლის კონკრეტული პრობლემები წარმოაჩინა და გვაჩვენა, რომ ადგილზე კვალიფიციურ მოხელეთა დეფიციტია. მმართველობითი ჯაჭვი მხოლოდ ვერტიკალზეა აგებულია და არ ხორციელდება დეცენტრალიზაციის პრინციპები.

მიღებული მონაცემები გაანალიზდა შედარებითი მეთოდის საშუალებით და განზოგადდა მთლიანად ე.წ “სასახლევრო სოფლებზე”. საუბრების თემატიკა მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: ოჯახის დაუცველობა, გლობალური უსაფრთხოება, ინფორმირებულობა, საუბარი იყო იმ პროგრამებზე, რომლებიც მათი ცხოვრების პირობებს გააუმჯობესებს, ასევე ჯანდაცვაზე, განათლებაზე, საერთაშორისო და ადგილობრივ პრობლემებზე და, ყველაზე უმთავრესი, უსაფრთხოებაზე, სიცოცხლისა და საკუთრების ხელყოფის რეალურ საფრთხეზე.


ბოლო პერიოდში საერთაშორისო არენაზე ნაკლებად ხდება აქცენტირება რუსეთ-საქართველოს ომის შედეგებზე არც საქართველოს ხელისუფლების და, შესაბამისად, არც საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან. ვითარება კი სხვაგვარია: მართალია, აღარ ისკრიან და ომი პირდაპირი გაგებით არ მიმდინარეობს, მაგრამ შეტევა ქართულ სახელმწიფოზე და ხალხზე სხვაგვარი ფორმით ხდება და ეს აისახება საზღვრისპირა სოფლების მოსახლეობაზე, კერძოდ, სისტემატური სახე აქვს შიდა ქართლიდან სხვადასხვა მიზეზით ადამიანების დაკავებას, ასევე საქონლის გადარეკვას. ამ დოკუმენტის შექმნის პერიოდში ოკუპანტებმა ქართველი გლეხის მოწეული მოსავალი აიღეს. ამ და სხვა მსგავს ფაქტებზე რეაგირება კომპეტენტური პირების და ორგანოების მხრიდან არაეფექტურია, რადგან პრობლემების დიდი ნაწილის მოგვარება ჯერჯერობით პრაქტიკულად შეუძლებელია, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ფაქტები ოპერატორების შექდება მედიასაშუალებებით, თუმცა ისინი ინფორმაციას იღებენ მოსახლეობასა და ოფიციალურ წყაროებზე დაყრდნობით, რაც სრული სურათის მისაღებად არასაკმარისია.

რაც მთავარია, ომის დამთავრებიდან დღემდე ეტაპობრივად იწევს საზღვარი და საოქანი ზოლი იზრდება. ეს ხდება დგანში, ეს მოხდა ბერშუეთთან, სასაზღვრო ზოლმა გადმოიწია ხურვალეთთან. იგივე სიტუაციია სოფელ გუგუტიანთკართან. ოკუპანტების მხრიდან უწყვეტად და დინამიკურად მოსახლეობაზე ხდება ფსიქოლოგიური ზემოქმედება, რის საიდუსტრაციოდ ერთი მაგალითიც საკმარისია: დაინგრა და განადგურდა დისევის სკოლა, ამ ფაქტს თვალს ადევნებდნენ ის ადამიანებიც, რომლებსაც ეს სკოლა პქონდათ დამთავრებული.

## პრობლემის გადაჭრის გზები

გამოკითხულებმა უმთავრეს პრობლემად უსაფრთხოება დაასახელეს. მოსახლეობაში დაუცველობის განცდა და კონფლიქტის განახლების შიში სუფეს. მოცემულის საფუძველს საზღვრის ძალადობრივი გზით შეცვლა და შეშის ჭრისა თუ საქონლის საძოვარზე გაყვანისას ადამიანების ხშირი გატაცებები იძლევა.

დღის წესრიგში დგება სამოქალაქო აქტივობის გაზრდის აუცილებლობა „საზღვრისპირა სოფლებში“, რის უზრუნველსაყოფადაც საჭიროდ მიგვაჩნია შემდეგი აქტივობების განხორციელება:



მოცემულ ვითარებაში მნიშვნელოვანია მმართველობით რგოლში კვალიფიციური ადგილობრივი კადრების ჩამა (ასეთი კადრები ჯერ კიდევ მოიძებნება სოფლებში), რომელთა პირდაპირი მოვალეობა გრძელვადიანი პროექტების შექმნისა და მოზიდვის ხელშეწყობა და საცხოვრებელი ადგილებიდან მოსახლეობის გადინების შეჩერება უნდა იყოს. ეს, საბოლოო ჯამში, დადგებითად აისახება განვითარებასა და აღმშენებლობაზე.

## რეკომენდაციები

1. რეალური ვითარების გათვალისწინებით ოკუპანტი ქვეყნის სხვადასხვა ფორმით აქტივობის გამო აუცილებელია გრძელვადიანი პროექტის შემუშავება პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული და უსაფრთხოების კუთხით. საამისოდ სახელმწიფომ უნდა შექმნას საეციალური მუდმივმოქმედი, პროფესიონალი და კვალიფიციური ადამიანების ჯგუფი, რომლის ფუნქცია იქნება მოვლენების და პროცესების დეტალური შესწავლა, ანალიზი და იმ გეგმის დაღება, რომელიც ქვეყანას ამ მდგომარეობიდან გამოიყვანს და ხელს შეუწყობს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას.

2. სამოქალაქო აქტივობის გაზრდის თვალსაზრისით უნდა მოხდეს სახალხო დიპლომატიაზე ორიენტირებული ადამიანების სწავლებისა თუ ჩართულობის ფორმით ხელშეწყობა.

3. ძალიან მნიშვნელოვანია ადგილზე კვალიფიციური კადრების მომზადება და მათი ჩართულობა მმართველობით რგოლში.

4. უნდა შეჩერდეს მოსახლეობის გადინება ადგილზე მინისაწარმოების შექმნისა და განვითარების გზით.

5. რეგიონში მაცხოვრებელი ახალგაზრდებისათვის არაფორმალური განათლების მიღების მიზნით სისტემატურად უნდა მოეწყოს საზაფხულო და საზამთრო ბანაკები.

6. როგორია, მაგრამ ამ მხარეში მოქმედმა პოლიტიკურმა პარტიებმა არჩევნებში უნდა ჩართოო ამ საზოგადოების აქტიური წევრები და მისაღები სახეები, რომლებიც ანგარიშვალდებულები იქნებიან არა მარტო პარტიის, არამედ ადგილობრივი მოსახლეობის წინაშეც.

7. გრძელვადიანი პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს თითოეული სოფლისთვის ცალკეულ პროგრამას, რომელიც დაეფუძნება წარსულის გამოცდილებას, თუ რა აკავშირებდა ამ სოფელს ოკუპირებულ მხარესთან.

8. სავაჭრო ურთიერთობის აღდგენისათვის, ვითარების შესწავლის საფუძველზე, უნდა მოეწყოს ბაზარი რომელიმე საზღვრისპირა სოფელში (– აქ წლების მანძილზე არსებობდა მეჯვრისხევის მინიბაზრობა, სადაც ორივე მხარე პროდუქციის ყიდვა-გაყიდვას და გაცვლას აწარმოებდა. ამან თავისი დადებითი შედეგი მოიტანა ომის დროს. თუ 90-იან წლებში მეჯვრისხეველებმა დაიცვეს ოსები, რეალობაა, რომ ოსურმა მხარემ შეძლო, არ მომხდარიყო ამ სოფლებში ნერვები და სახლების დაწვა). არა მომხდარიყო ამ სოფლებში ნერვები და სახლების დაწვა).

9. ოსურ მხარესთან ჯერ კიდევ არსებული მეგობრული, მეზობლური თუ ადამიანური ურთიერთობები როგორმე უნდა განახლდეს და ისევ გადაიზარდოს ორმხრივ საქმიან ურთიერთობებში.

10. ძალიან მნიშვნელოვანია ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩენილი ქართული კულტურის ძეგლების გადარჩენაზე ზრუნვა, რათა მთლიანად არ გაქრეს ქართული ნიშანწერი არა მნიშვნელო ტერიტორიაზე.

11. რამდენადაც არარეალურად უნდა მოგვეჩენოს, ამ სოფლებში კვლევის საფუძველზე უნდა მოხდეს კულტურული და სამართლებრივი ცენტრების შექმნა.

12. საბანკო სექტორმა სასურველია იზრუნოს იმაზე, რომ რამდენიმე ადგილას გაიხსნას მათი წარმომადგენლობა. ეს ხელს შეუწყობს ადგილზე ახალგაზრდების დასაქმებას და სოფლად მოსახლეობის შენარჩუნებას.

13. უნდა მოხდეს სწორი პოლიტიკის შერჩევა: არც სისტემის პოლიტიკაა მისაღები და არც რბილი. სიფრთხილე, რა თქმა უნდა საჭიროა და, ამასთანავე, ჩვენი დამოკიდებულება უნდა ეფუძნებოდეს ადგილზე ეკონომიკურ სიძლიერეს, რაც მოსავლიანობის აღებას და რეალიზაციას შეუწყობს ხელს. ეკონომიკური სიძლიერის ერთ-ერთი წინაპირობა კი ზემოთ აღნიშნული სავაჭრო ურთიერთობების განახლებაა. ახალგაზრდებს ხელი უნდა შეეწყოს განათლებაში. ძალიან კარგია, როცა ამ მხარიდან წამოსულ ახალგაზრდებს სახელმწიფო უფინანსებს უმაღლეს განათლებას.

14. აქცენტი უნდა გადავიტანოთ იმაზე, რომ ახალგაზრდებმა კარგი სასკოლო განათლება მიიღონ და მათი არჩევანი საქმიანობაში ეფუძნებოდეს საჭირო პროცესების. მთლიანად უნდა მოხდეს ასეთი სოფლების ინტერნეტით

უზრუნველყოფა. რა თქმა უნდა, რეგიონში ინტერნეტი არის, მაგრამ ბევრი ოჯახისათვის ის მიუწვდომელია.

15. უსაფრთხოების კუთხით სახელმწიფო დგამს ნაბიჯებს. ადამიანებზე ზრუნვა ნამდვილად არის გატაცებისა თუ ეკონომიკური ზარალის მიყენებისას, მაგრამ დრომ აჩვენა, რომ ამ სფეროში სიახლეებია შესატანი და ექსპერტულ მონაცემებზე დაყრდნობით შესაცვლელია დამოკიდებულება.

16. აუცილებელია მოსახლეობის დახმარება, რომ მათ პქონდეთქართული მაუწყებლობა (სერვერების შექნა სისტემის მისაღებად და სხვ.), რათა მათ საშუალება პქონდეთ, მიიღონ რუსული პროპაგანდისაგან თავისუფალი ინფორმაცია.

## დასკვნა

2008 წლის აგვისტოს ომმა მოშალა ინფრასტრუქტურა, უდიდესი ზიანი მიაყენა მოსახლეობას, ქონების დიდი ნაწილი განადგურდა. მიუხედავად ამისა, მაინც ამოქმედდნენ ადგილებზე სახელისუფლებო ორგანოები, დაბრუნდა მოსახლეობა და ცხოვრების რიტმიც შეიცვალა.

ამავე დროს, რუსეთმა საპირისპიროდ შეცვალა პოლიტიკა, ომის ნაცვლად ამ ექსი წლის მანძილზე ხდება ადამიანების გატაცება, საქონლის გარეკვა, მოწევლი მოსავლის მითვისება და ძალიან მძიმე – ხელოვნურად კიდევ და კიდევ საზღვრის გადმოწევა.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე დამწვარი და დანგრეული სახლები მთლიანად ნადგურდება და ვერც ერთხელ ვერ მოხერხდა ადამიანების მიერ ამდენი ხნის მანძილზე აღდგომის დღესასწაულზე წინაპრების საფლავების მონახულება. თუმცა მეორე მხარეს აღმოჩნდნენ კეთილი ნების ადამიანები, რომლებიც ცდილობენ, იქით დარჩენილ საფლავებს პატივი მიაგონ.

უფრო გლობალური რეკომენდაციის გაცემა მეტ დროს საჭიროებს და უნდა მომზადდეს კვალიფიციურ და კომპეტენტურ ადამიანთა მიერ ხანგრძლივი კვლევისა და გამოკითხვის საფუძველზე.

## ბიბლიოგრაფია

1. მოქალაქე და სამოქალაქო ჩართულობა საქართველოში დამოუკიდებლობიდან 23 წლის შემდეგ, კონფერენციის მასალების კრებული. 2015 წ.
2. როგორ აღიქვამს საზოგადოება ქვემო ქართლში, სამეგრელოში, სამცხე-ჯავახეთსა და შიდა ქართლში 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის გამომწვევ მიზეზებს და შედეგებს. წიგნი I, II. 2010 წ.
3. არინა თავაქარაშვილი, ომის შემდგომი ე.წ. „საზღვრისპირა სოფლების“ მდგომარეობის კვლევა, 2010 წ.